N 211 14/06/2019

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

## ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად , ის მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით გავხდი საკრებულოს წევრი.

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ვიყავი საკრებულოს ეკონომიკის,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

ასევე ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და იურიდიული პირის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი და მონაწილეობა მივიღე კომისიის 6 სხდომაში.

მონაწილეობა მივიღე 23 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. ჩავატარე საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის 18 სხდომა.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე. ამასთანავე ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

პერიოდულად შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშუალოდ სოფელში, ვისმენდი მათ პრობლემებს და ვცდილობდი მაქსიმალურად მათ მოგვარებას.

ასევე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, გაცნობებთ, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა და წლევანდელ წელს მიმდინარეობს წერტილოვანი შეწამვლები.

მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და დახმარებებზე, რომელიც ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა, როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, კვაჭაძეების უბანში, რომელი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს გაკეთდა გზა 18 000 ლარის ღირებულების;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ჯურუყვეთში გაკეთდა გარე განათების 53 სანათი 12 ახალი ბოძით, ჯამში 15 600 ლარის ოდენობით;
- სოფელ ეწერზე 35 სანათი 11 ახალი ბოძით 12 000 ლარის ოდენობით;
- სოფელ ბაღლეფში 19 სანათი, 19 ახალი ბოძით 12000 ლარის ოდენობით;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა 225 256 ლარის ღირებულების წყლის პროექტი, რომელიც მოიცავს 214 ოჯახს.

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 21 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა( სახლის სახურავი).

რაც შეეხება 2019 წელს მიმდინარეობს სოფელ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა გარემონტება.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენთაგანს თანადგომისათვის და ასევე მადლობას ვუხდი საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი და ოპერატიული მუშაობისათვის.

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია